



**ასაკისა და ღირებულებების ურთიერთდამოკიდებულება
გაფართოებულ ოჯახებში საქართველოში**

ჩხეიძე სესილი

სოციოლოგიის საბაკალავრო პროგრამა
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

E-mail: sesilichkeidze@yahoo.com

აბსტრაქტი

თაობათა შორის უთანხმოებები ყველგან გვხვდება, იქნება ეს სამუშაო სივრცე, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილები თუ ოჯახი. ერთ სივრცეში თანაცხოვრება, ბუნებრივია, გარკვეულ სირთულეებთან არის დაკავშირებული, რაც ხშირად შეიძლება გადაიზარდოს კონფლიქტებში. აღნიშნული კვლევა სწორედ ასეთი სახის ინტერაქციებზე ფოკუსირდება და იკვლევს ინტერესთა, ღირებულებათა და ფასეულობათა განსხვავებულ გაგებას, განსხვავებულ მიდგომებსა და დამოკიდებულებებს უმცროსი და უფროსი თაობის წარმომადგენლებს შორის.

მოცემული ნაშრომი იკვლევს სამთაობიან გაფართოებულ ოჯახს საქართველოში და მათზე დაყრდნობით ასკვნის თაობებს შორის აზრთა სხვადასხვაობის თემატიკას, მათ შორის კომუნიკაციის საშუალებებსა და კონფლიქტის სახეებს, რომლებიც შეიძლება არსებობდეს ოჯახში. ნაშრომი დიდწილად ეფუძნება მკვლევრების მიერ ჩატარებულ თაობათა შორის კონფლიქტებთან დაკავშირებულ კვლევებსა და ინდივიდუალიზმისა და კოლექტივიზმის კონცეფციას.

კვლევის შედეგები ემყარება თვისებრივი მეთოდით მიღებულ მონაცემებს, რომლისთვისაც ჩატარდა ინდივიდუალური სიღრმისეული ინტერვიუები 18-19 წლის ახალგაზრდებთან და მათი ოჯახების მესამე თაობის წარმომადგენლებთან.

კვლევის შედეგად დადგინდა, რომ გაფართოებულ ოჯახებში სხვადასხვა თაობის წარმომადგენლების ჰარმონიული თანაცხოვრებისთვის საჭიროა საერთო ინტერესების გამონახვა, ღირებულებებისა და ერთმანეთის პატივისცემა და კონფლიქტური ხასიათის სიტუაციების დროს კომპრომისზე წასვლა. ამასთან ერთად არ გამოიკვეთა მოუგვარებელი კონფლიქტები, რაც ხელს უწყობს ოჯახის გაფართოებულ ფორმით თანაცხოვრებას.

საკვანძო სიტყვები: თაობები, ოჯახური კონფლიქტები, გაფართოებული ოჯახი, ღირებულებები.

შესავალი

თაობებს შორის კონფლიქტებსა და უთანხმოებებს საკმაოდ ხშირად ვაწყდებით. მათ მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავთ როგორც ზოგადად, საზოგადოებისა და ადამიანის, ასევე ოჯახის ცხოვრებაშიც. სოციალურ ფსიქოლოგიაში თაობებს შორის კონფლიქტის ძირითად მიზეზად მოლოდინთა შეუთანხმებლობას მიიჩნევენ. ძველი და ახალი თაობის წარმომადგენლები ირგებენ სხვადასხვა სოციალურ როლებს, რომელთა შესრულებაც გარკვეულ ქცევებს ითვალისწინებს და უკავშირდება მოლოდინთა იმ სისტემას, რაც თითოეულ მათგანს გამოუმუშავდათ აღზრდითა და ეროვნული ტრადიციების ზეგავლენით (გელაშვილი, 2019). ეს ყველაზე კარგად, ალბათ, ოჯახში ვლინდება, რადგან სხვადასხვა თაობის წარმომადგენლებს მჭიდრო ემოციური ურთიერთობა აქვთ ერთმანეთთან. ეს შეიძლება იყოს, როგორც ორ, ასევე სამ თაობას შორის ურთიერთქმედება (მაგ: მამა-შვილი, ბაბუა-შვილისშვილი). ქართულ გაფართოებულ ოჯახებში ხშირია აზრთა სხვადასხვაობა გარკვეულ საკითხებზე, როგორცაა უფროს-უმცროსის პატივისცემა, ოჯახის წევრების თავისუფალი დროის გატარების კონტროლი, შრომის გენდერული გადანაწილება და სხვა. ადამიანის არჩევანის თავისუფლების შეზღუდვა, ბუნებრივია, არაჯანსაღ სოციუმს ქმნის. სხვადასხვა თაობებში არსებული ღირებულებების კვლევა მნიშვნელოვანია, რადგან ეს გვაძლევს ცოდნას კონკრეტულ საზოგადოებაში, კონკრეტულ ისტორიულ კონტექსტში სხვადასხვა თაობების მამოძრავებელი ძალის, თაობებს შორის განსხვავებისა და მსგავსების შესახებ, რაც გვაძლევს საშუალებას განვჭვრიტოთ საზოგადოების განვითარების შესაძლო ტრაექტორია (Inglehart, 1997). ამ სფეროში არსებული ნაშრომების, სტატიების უმეტესობა ნაკლებად ეხება ოჯახებში არსებულ თაობათაშორის დაპირისპირებებს. ეს თავისმხრივ ზრდის აღნიშნული თემის აქტუალობას და საშუალებას გვაძლევს, გამომდინარე ქართული რეალობიდან, ახალი პერსპექტივა შევიტანოთ საკითხის კვლევაში.

წარმოდგენილი სტატია გამოავლენს ოჯახში თაობებს შორის ღირებულებითი განსხვავებებს და აანალიზებს თაობებს შორის განსხვავებული ფასეულობების ზეგავლენას ოჯახის ჰარმონიაზე. იმის დასადგენად, იწვევს თუ არა მსგავსი აზრთა სხვადასხვაობები ოჯახის წევრებს შორის გარკვეული სახის კონფლიქტს თუ უთანხმოებას ჩატარდა სიღრმისეული ინტერვიუები გაფართოებულ ოჯახებში.

ლიტერატურის მიმოხილვა

ზოგადად თაობა განიმარტება, როგორც ადამიანთა გარკვეული ჯგუფი, ერთობლიობა, რომლებიც ერთსა და იმავე პერიოდში დაიბადნენ. სოციოლოგიაში ამას ასევე ემატება საერთო ინტერესები, ღირებულებები, შეხედულებები, გარკვეული კოლექტიური აზროვნება და ცხოვრებისეული გამოცდილება. არსებობს სხვადასხვა მოსაზრება იმის შესახებ თუ რა დროის შუალედით გამოიყოფა ერთი თაობა მეორისგან. ამ

საკითხთან დაკავშირებით სხვადასხვა მოსაზრებებია, თუმცა უმეტესობა თვლის, რომ დროის შუალედი, რომლითაც თაობები გამოეყოფიან ერთმანეთს არის 30 წელი. აღსანიშნავია, ისიც, რომ ეს შუალედი მნიშვნელოვანია საზოგადოების განვითარებისთვის და კოლექტიური პროგრესისთვის. როგორც მენტრე კონტზე დაყრდნობით წერს, თუ შევამცირობთ ან გავზრდით ადამიანის სიცოცხლის საშუალო მაჩვენებელს, შეიცვლება პროგრესი საზოგადოებაშიც. თუ გავზრდით სიცოცხლის ხანგრძლივობას, იგი შენელებს, ხოლო თუ შევამცირობთ, შესაბამისად, პროგრესიც დაჩქარდება, რადგან უფროსი თაობის კონსერვატული ზეგავლენაც გაქრება (Mentre, 1920.; ციტირებული Mannheim, 1952).

პირველად თაობების გამოყოფა ცალკე ჯგუფად მანჰაიმმა სცადა. მისთვის თაობა იყო დინამიკური სოციალური ფუნდამენტი, რადგან თაობათა ცვლა არის მუდმივი პროცესი და ყოველ შემდგომ თაობას აქვს „ახალი კონტაქტი“ წინა თაობის მემკვიდრეობასთან. შედეგად „თაობები არიან მუდმივ ურთიერთქმედებაში ერთმანეთთან“. მას ასევე მიაჩნდა, რომ ყოველი თაობა სხვადასხვაგვარად აღიქვამდა სამყაროს. მისი აზრით, კულტურის, ინტერესებისა და ქცევის ჯგუფური და ინდივიდუალური განსხვავების ასახვად თაობას ისეთივე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, როგორც სოციალურ კლასს ან გენდერს (Mannheim, republished 1952).

არსებობს თაობის განსაზღვრის მრავალი მოდელი, თუმცა უკვე წლებია თაობებს გამოყოფენ დაბადების წლების მიხედვით. უილიამ სტრაუსისა და ნეილ ჰოვეს თეორიის მიხედვით ადამიანების ასაკი განსაზღვრავს იმას თუ რომელ თაობას მიეკუთვნებიან, ხოლო თითოეული დაჯგუფება გამოირჩევა უნიკალური ხასიათის თვისებით. ისინი ითვალისწინებდნენ ადამიანის აღზრდის მეთოდს, ასევე თუ რომელი საზოგადო მოვლენები გადაიტანეს მოზარდობაში და რა სოციალური დავალება მისცეს უფროსებმა ზრდასრულობაში გადასვლისას. ამ ინდიკატორების გათვალისწინებით, მათ ჩამოაყალიბეს თაობების 18 ჯგუფი, რომელთა სასიცოცხლო ციკლიც 20-25 წელს ითვლიდა:

1. ჯი.აი თაობა 1901-1924;
2. ჩუმი თაობა 1925-1942;
3. ბები-ბუმერები 1943-1960;
4. მე-13 თაობა (X თაობა) 1961-1981;
5. მილენიუმების თაობა (Y თაობა) 1982-2001.

მათი დაკვირვებით გარკვეულ სოციალურ, ეკონომიკურ, პოლიტიკურ და ტექნოლოგიურ ცვლილებას შეუძლია გავლენა მოახდინოს თაობების ფორმირებასა და მათი მახასიათებლების ჩამოყალიბებაზე (Straus and Howe 1991).

მოცემულ ჯგუფებს ემატება კიდევ ერთი, ახალი თაობა, რომელიც განისაზღვრება, როგორც „Z თაობა“. სტრაუსისა და ჰოვეს დაჯგუფებას, რომ მივყვით ამ თაობის

განმსაზღვრელი წლები იქნებოდა 2001-2020, თუმცა ხშირად სამეცნიერო სტატიებში აღნიშნულია, რომ თაობა Z ასაკობრივად მოიცავს იმ ადამიანებს, რომლებიც დაიბადნენ 1997-2015 წლებში (Dimock, 2019).

თაობებს შორის უთანხმოებები, ზოგადად საზოგადოებასა და ადამიანის ცხოვრებაშიც ყურადსაღებია, ისევე როგორც ოჯახის წევრებს შორის ურთიერთქმედებაში. კონტი ოჯახურ ურთიერთობებს განსაზღვრავს, როგორც ზნეობრივ-ემოციურ კავშირს, რომელიც ურთიერთსიმპათიასა და სიყვარულზეა (ერთგულებაზე) დაფუძნებული (ბერძენიშვილი, 2013). სოციალურ ფსიქოლოგიაში თაობებს შორის კონფლიქტის ძირითად მიზეზად მოლოდინთა შეუთანხმებლობას მიიჩნევენ. ძველი და ახალი თაობის წარმომადგენლები ირგებენ სხვადასხვა სოციალურ როლებს, რომელთა შესრულებაც გარკვეულ ქცევებს ითვალისწინებს და უკავშირდება მოლოდინთა იმ სისტემას, რაც თითოეულ მათგანს გამოუმუშავდათ აღზრდითა და ეროვნული ტრადიციების ზეგავლენით (გელაშვილი, 2019). ეს ყველაზე კარგად, ალბათ, ოჯახში ვლინდება, რადგან სხვადასხვა თაობის წარმომადგენლებს ყოველდღიური ინტერაქცია უწევთ ერთმანეთთან. ამაში შეიძლება იგულისხმებოდეს ორ ან სამ თაობას შორის ურთიერთქმედება (მაგალითად ბებია-ბაბუა-შვილიშვილი ან მშობელი-შვილი).

სამეცნიერო ლიტერატურაში კონფლიქტის სხვადასხვა განმარტება გვხვდება. ძირითადი არსი მდგომარეობს ინტერესთა, ფასეულობათა და ხედვის შეუთავსებლობაში, რომელიც არ მოიაზრება მხოლოდ ნეგატიური კონტექსტით. მეცნიერების აზრით, კონფლიქტი ფორმირდება ჩვენ მიერ და ჩვენივე მიზნებიდან გამომდინარე (Mack & Snyder, 1957).

ადამიანები ინდივიდუალური თავისებურებების მიხედვით, სხვადასხვანაირად აღიქვამენ სამყაროს. რწმენის, ღირებულებებისა და საჭიროებების განსხვავებულობა იწვევს აზრთა სხვადასხვაობას და შეიძლება გახდეს კონფლიქტის გამომწვევი მიზეზი, რაც გამოიხატება ერთი მხარის წინააღმდეგობით მეორეს ინტერესებთან. გამომწვევი მიზეზების მიხედვით გამოყოფენ კონფლიქტის შემდეგ სახეებს:

1. ინფორმაციული კონფლიქტები - ამ სახის კონფლიქტების განვითარება, უმეტესად კომუნიკაციის დეფიციტის ან არასწორი კომუნიკაციის ბრალია.
2. ურთიერთობასთან დაკავშირებული კონფლიქტები- ამ ტიპის კონფლიქტები ხშირად იჩენს თავს იმ ადამიანებს შორის, ვისაც ახლო ურთიერთობა აქვთ ერთმანეთთან. ასეთ შემთხვევაში კონფლიქტს ამწვავებს ძლიერი ემოციური ფონი, მხარეებს უჩნდებათ განცდა, რომ არ აფასებენ, არ უგებენ და უყურადღებოდ ტოვებენ მათ.

3. თვასეულობასთან დაკავშირებული კონფლიქტები - ადამიანთა შორის დაპირისპირების ყველაზე გავრცელებული ვარიანტებია. ადამიანების განსხვავებული ხედვები, ღირებულებები და გემოვნება ხშირად არ ემთხვევა ერთმანეთს, რაც შეიძლება კონფლიქტური სიტუაციის მიზეზი გახდეს. ის, რაც ერთისთვის მისაღებია და ღირებულია, მას მეორესთვის არანაირი თვასეულობა გააჩნია.

4. სტრუქტურებთან დაკავშირებული კონფლიქტები - მათი მიზეზი შეიძლება გახდეს არსებული ნორმები და კანონები, შეზღუდვები, გარემოებები, სტატუსები და სოციალური როლები. ასეთ შემთხვევაში უნდა მოხდეს საკითხის ღია და გულწრფელი განხილვა, რათა მხარეებმა მიაღწიონ კონსენსუსს.

5. ინტერესებთან დაკავშირებული კონფლიქტები- შინაარსობრივად ყველაზე რთულ ფორმებს წარმოადგენენ და აერთიანებენ სხვადასხვა ტიპის კონფლიქტებს. ინტერესის სფერო შეზღუდავია და იშვიათია მათი თანხვედრა. ინტერესები შეიძლება იყოს მატერიალური და არამატერიალური. ასეთი კონფლიქტების პროვოცირებას იწვევს ის გარემოება, რომ გადანყვეტილების მიღებისას ერთ-ერთი მხარე მოქმედებს მხოლოდ საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე და არ ითვალისწინებს სხვებს (გელაშვილი, 2019).

გამომდინარე იქედან, რომ ოჯახი მნიშვნელოვანი პირველადი ჯგუფია ადამიანის ცხოვრებაში და მისი წევრები არა მარტო სისხლით, არამედ ღრმა ემოციური კავშირით არიან ერთმანეთთან მიჯაჭვულები, ამიტომ მისთვის ყველაზე შესაფერისი, სავარაუდოდ, ურთიერთობასთან დაკავშირებული ტიპია. კონფლიქტის გაღვივებაში ასევე მნიშვნელოვან როლს თამაშობენ საპირისპირო ინტერესები და შეხედულებები. გამომდინარე იქედან, რომ უფროსი თაობა სხვა გარემოში, სხვა ღირებულებებსა და იდეოლოგიაში აღიზარდა, ისინი ხშირად აკრიტიკებენ ახალგაზრდებს, რომლებსაც განსხვავებული ინტერესები აქვთ. საკმაოდ ხშირია კონფლიქტები ისეთ თემებზე, როგორცაა გენდერული თანასწორობა, უფროს-უმცროსის პატივისცემა და სხვა. საქართველოში კი განსაკუთრებით კარგად ვხედავთ ამას, გამომდინარე ქვეყნის ტრადიციებისა და ისტორიული ფონისა.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, ახალგაზრდები გათავისუფლდნენ „ზემოდან ნაკარნახევი“ იდეოლოგიისგან და ახალმა შესაძლებლობებმა და ცხოვრების დაგეგმვის ახალმა მიდგომამ იჩინა თავი. ახალგაზრდები ინდივიდუალიზაციის ანუ საკუთარი ცხოვრების დაგეგმვის თავისუფლების წინაშე აღმოჩნდნენ. სოციალური რეგულაციების და შეზღუდვების გაქრობის შემდეგ, უკვე არაფერია ნაკარნახევი „ზემოდან“ და ახალგაზრდებს არ აქვთ წინასწარ განწერილი გზა; ისინი თავად საზღვრავენ, თუ რა არჩევანი გააკეთონ ცხოვრებაში. მკაცრი სოციალისტური რეგულაციებიდან, ისინი მოხვდნენ თავისუფალ, ლიბერალურ გარემოში, სადაც არჩევანი შეზღუდული არ არის (ხოშტარია, 2019). თუმცა,

აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ინდივიდუალიზაციას და არჩევანის თავისუფლებასაც ახლავს სირთულეები, შიშები და საფრთხეების არსებობის შეგრძნება. სწორედ ამის გამო, მეცნიერები ხშირად საუბრობენ იმაზე, რომ პოსტსაბჭოთა ქვეყნებში ახალგაზრდებს ესაჭიროებათ გარკვეული „სიმყარე“, „საყრდენი“, რის გამოც მათთვის „ძირითადი“, ტრადიციული ღირებულებები მაინც სტაბილური რჩება, იმისდა მიუხედავად, რომ მათ გარემოში უამრავი ცვლილება და ტრანსფორმაცია ხდება. უოლკერი და სტეფენსონი ყურადღებას ამახვილებენ იმაზე, რომ აღმოსავლეთ ევროპაში და პოსტსაბჭოთა ქვეყნებში ოჯახი არის ის ძირითადი ინსტიტუტი, რომელსაც ახალგაზრდები განსაკუთრებით ენდობიან (Walker & Stephenson, 2010).

ტრადიციული ოჯახის შექმნის მოთხოვნილება უფრო და უფრო იკლებს ახალგაზრდა თაობებში, რაც საზოგადოების გარკვეული ნაწილის შეშფოთებას იწვევს. მათი თქმით, ახალგაზრდა თაობა ჰედონისტური და ეგოისტურია, მხოლოდ საკუთარ თავზე ფიქრობს და ყველანაირი პასუხისმგებლობის და ვალდებულების თავიდან აცილებას ცდილობს (Heath & Cleaver, 2003).

ასევე, საინტერესოა თანამედროვე სამყაროში ცვლილებები, რომლებიც თავისუფალი დროის ტარებას და ცხოვრების სტილს ეხება. იმის გამო, რომ თანამედროვე სამყაროში ახალგაზრდები დაქორწინებას აღარ ჩქარობენ, მათ მეტი დრო რჩებათ საკუთარი თავისთვის. თანამედროვე სამყარო ბევრ სხვადასხვა გასართობ საშუალებას სთავაზობს ახალგაზრდას, რაც, პირველ რიგში ფინანსურ შესაძლებლობებს უკავშირდება. სწორედ ამიტომ გართობის საშუალებები მეტად ხელმისაწვდომია საზოგადოების შეძლებული ფენებისთვის. თუმცა, ზოგი მეცნიერის აზრით, ახალგაზრდები თავისუფალ დროს უფრო და უფრო ხშირად ატარებენ განცალკევებულად, რაც უკავშირდება იმას, რომ მათ აქვთ ინტერნეტთან წვდომა და მესამე თაობის მობილური ტელეფონები, რამაც თავისუფალი დრო აქცია უფრო პირად, დამოუკიდებელ აქტივობად, ვიდრე ერთმანეთთან ურთიერთობის საშუალებად (Furlong & Cartmel, 2006). აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში თავისუფალი დროის ტარების და გართობის ერთ-ერთი მთავარი საშუალება მეგობრებთან ერთად დროსტარებაა, რასაც ხშირად ფინანსები არ ესაჭიროება, რადგან მეგობრების შეკრება და დროსტარება, როგორც წესი, სახლში ხდება (ხოშტარია, 2019).

ახალგაზრდებს უნდათ ახალი შესაძლებლობები და არ უნდათ იმ სამყაროში ცხოვრება, რომელშიც მათი მშობლები ცხოვრობდნენ. დასავლური ცხოვრების სტილი მათთვის უფრო სასურველი და, ამავე დროს, უფრო ხელმისაწვდომი გახდა. სწორედ ამიტომ, კენ რობერტსი აღნიშნავს, რომ პოსტკომუნისტურ ქვეყნებში, ახალგაზრდები რეფორმების მომხრეები არიან, იმ გაგებით, რომ ისინი ცხოვრების ახალ, დასავლეთში აღიარებულ სტილს ამჯობინებენ (Roberts, 2003.; ციტირებული ხოშტარია, 2019).

ინდივიდუალიზმი და კოლექტივიზმი

ინდივიდუალიზმი და კოლექტივიზმი-ორივე ერთნაირად გამოიყენება, როგორც საზოგადოების ასევე ინდივიდის აღსაწერად. ინდივიდუალისტური კულტურა გულისხმობს ქვეყანაში იმ ინდივიდების დიდ რაოდენობას, ვისი მე-კონცეფციაც სტაბილური პიროვნული თვისებებით არის განსაზღვრული და ნაკლებ არის დამოკიდებული სხვებზე. კოლექტიური კულტურის წევრთა „მე კონცეფცია“ კი უფრო მეტად როლებითა და ჯგუფისადმი მიკუთვნებით განისაზღვრება. ცალსახად გამოიკვეთება თაობათა შორის განსხვავება. ასაკთან ერთად მატულობს კოლექტივისტური ორიენტაცია, მაგრამ მას არ სდევს ინდივიდუალისტური ორიენტაციის კლება. უფროსი თაობის ადამიანები, ასევე, უფრო მეტ ინდივიდუალისტურ ორიენტაციას ამჟღავნებენ ინდივიდუალიზმის ორი ქვეშეკალიდან: ერთში - „საკუთარ თავზე დაყრდნობა“, რაც შეიძლება იყოს, ან ასაკისა და კულტურის ერთიერთქმედების შედეგი (საქართველოში უფრო გვიან ხდება ოჯახისგან რეალური დამოუკიდებლობის მიღწევა), ან/და კოლექტივიზმიდან ინდივიდუალიზმისკენ გადანაცვლების პროცესის ნიშანი. თაობათა შორის განსხვავება, ასევე, აღინიშნება კოლექტივიზმთან დაკავშირებულ ღირებულებებში. ტრადიციებისადმი ერთგულება, ოჯახური შეჭიდულობა და ბავშვის ისე გაზრდა, რომ იყოს დამჯერი, უფრო ღირებულია უფროსი თაობის ადამიანებისათვის, მაშინ როდესაც, ახალგაზრდა თაობა ხაზს უსვამს იმის მნიშვნელობას რომ ადამიანი იყოს დამოუკიდებელი და მიზანსწრაფული (სუმბაძე, 2012).

ისეთ საზოგადოებებს, რომელთა წევრებს შორისაც კავშირი საკმაოდ სუსტია, ჰოფსტედე უწოდებს ინდივიდუალისტურ საზოგადოებებს. ასეთ საზოგადოებებში ადამიანებს საკუთარი თავი და ოჯახის წევრები აბარიათ, მაშინ როდესაც კოლექტივისტურ საზოგადოებაში ადამიანები დაბადებიდანვე უფრო ფართო ჯგუფების და გაფართოებული ოჯახების (სადაც შედიან ბებიები, ბაბუები, დეიდები, ბიძები და სხვა ნათესავები) ნაწილი არიან, რომელთა ერთგულებაც ევალებათ (Hofstede, 2011).

მეთოდოლოგია

წარმოდგენილი სტატიის მიზანია გააანალიზოს რამდენად განსხვავდება და რა სახის კონფლიქტებს იწვევს სხვადასხვა საკითხებზე შეხედულება სამ თაობას შორის. შესაბამისად კვლევის ამოცანები მდგომარეობს შემდეგში: (ა) დადგინდეს თაობათა შორის აზრთა სხვადასხვაობის ძირითადი თემატიკა; (ბ) ლიტერატურის მიმოხილვის ნაწილში წარმოდგენილი კონფლიქტების ტიპების მიხედვით დადგინდეს კონკრეტულად რა ტიპის კონფლიქტს აქვს ადგილი გაფართოებულ ოჯახში; (გ) დადგინდეს კომუნიკაციის რა ფორმები და საშუალებები გამოიყენება; (დ) დადგინდეს რა გავლენას ახდენს თითოეული თაობის წევრის ემოციური მდგომარეობა ოჯახის ჰარმონიაზე.

ნაშრომის ფარგლებში ჩატარდა მცირე მასშტაბის კვლევა, რომელიც განხორციელდა სამ ეტაპად: პირველი ეტაპი - მოსამზადებელი სამუშაოები, რაც გულისხმობს თეორიული მასალის მოძიებასა და დამუშავებას და სიღრმისეული ინტერვიუებისთვის კითხვარის შედგენას; მეორე ეტაპზე ჩატარდა სიღრმისეული ინტერვიუები, შემდეგ მომზადდა ტრანსკრიპტები და განხორციელდა მონაცემთა კოდირება-კატეგორიზება. მონაწილეობდა ხუთი რესპონდენტი, რომლებიც შერჩეულ იქნა მიზნობრივად, ხოლო მესამე ეტაპზე დამუშავდა მიღებული მონაცემები და ჩატარდა კვლევის შედეგების ანალიზი.

კვლევის საწარმოებლად შერჩეულ იქნა თვისებრივი კვლევის მეთოდი. რაც შეეხება სიღრმისეული ინტერვიუების ტრანსკრიპტების ანალიზს, გამოყენებულ იქნა ნარატიული კონტენტ-ანალიზის მეთოდი. კვლევის ინსტრუმენტს წარმოადგენდა ნახევრად სტრუქტურირებული კითხვარები, როგორც უფროსი თაობის წარმომადგენლებისთვის, ასევე ახალი თაობის წარმომადგენლებისთვის.

ქვეყანაში (გლობალური პანდემია) არსებული სიტუაციიდან გამომდინარე ინტერვიუები ჩატარდა ვირტუალურად, „Zoom“-ის საშუალებით, რაც ხელმისაწვდომი და კომფორტული საკომუნიკაციო საშუალება იყო რესპონდენტებისთვის.

კვლევის შედეგები

ჩატარებული კვლევის ობიექტს წარმოადგენდა სამი გაფართოებული ოჯახი, რომლებიც იზიარებდნენ ერთ საცხოვრებელ სივრცეს, ეკონომიკას და მეტ-ნაკლებად ჰარმონიულად თანაცხოვრობდნენ. რესპონდენტები შედგებოდა 18-19 წლის ახალგაზრდებისგან და მათი ოჯახის წევრი უფროსებისგან.

ბუნებრივია, რომ სიღრმისეული ინტერვიუების ჩატარების შედეგად დადგინდა, რომ თაობებს შორის ღირებულებითი სხვაობა აშკარა იყო. სხვადასხვა ინსტიტუციებისგან განსხვავებით, როგორცაა მაგალითად სამუშაო გარემო, ოჯახი უფრო განსაკუთრებულ ურთიერთობებს წარმოადგენს. ოჯახის „შიდა სამზარეულო“ ყოველთვის დაფარული და მიუწვდომელია უცხო თვალისთვის.

გოფმანი თვლიდა, რომ სოციალური ცხოვრების დიდი ნაწილი შეიძლება გაიყოს წინა და უკანა პლანებად. წინა პლანი მოიცავს სოციალურ სიტუაციებს და კონტაქტებს, რომლებშიც ინდივიდები ასრულებენ ფორმალურ როლებს. ეს „სცენური წარმოდგენებია“. უკანა პლანი არის, სადაც ადამიანები აგროვებენ რეკვიზიტებს და ემზადებიან ურთიერთქმედებისთვის უფრო ფორმალურ გარემოში. უკანა პლანი თეატრის კულისებს ან, ფილმის გადაღებისას, გადამღები კამერის უკან აქტივობას ჰგავს. როდესაც ადამიანები სცენის უკან უსაფრთხოდ არიან, მათ შეუძლიათ განიტვირთონ, თავისუფლად გამოხატონ გრძნობები და ქცევის სტილი თავისუფალი გახადონ, რასაც ისინი აკონტროლებენ წინა პლანზე ყოფნისას (Goffman, 1969). სწორედ ოჯახი, სახლი არის ადამიანის „კულისები“, სადაც იგი თავისუფლდება საზოგადოების წნეხისგან და იყოს ის, ვისი როლიც მას მიანიჭეს. თუმცა, აღსანიშნავია, ისიც, რომ ადამიანი შეიძლება მრავალ სცენაზე თამაშობდეს და განსხვავებული როლები ჰქონდეს. აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ ოჯახის წევრებიც ირგებენ გარკვეულ როლებს და „სცენაზე გამოდიან“, მიუხედავად იმისა, რომ სახლში ატარებენ

დროს. ეს, ალბათ, ყველაზე თვალსაჩინოა ერთმანეთთან ინტერაქციის დროს, ხოლო, როცა სრულიად განმარტოვდებიან, უბრუნდებიან თავიანთ კულისებს. ამის კარგი მაგალითია უფროსი რესპოდენტების სიტყვები: „მე ვარ ოჯახის უფროსი...ჩემი სიტყვა ეს, მე რო ვიტყვი ის უკვე ბეჭედ დარტყმულია.“; „მე უფროსი ვარ და მე მეტი მმართველს მოთმინება“. ჩანს, რომ მათ „ოჯახის უფროსობის“ როლი კარგად აქვთ შეთვისებული და როგორც ყველაზე უფროსი წევრები ბევრად მეტ პასუხისმგებლობასა და მოთმინებას განიცდიან.

აღსანიშნავია ის, რომ გამოიკვეთა თაობების კლასტერიზაცია: შვილები-მშობლები, მშობლები-ბები-ბაბუები და შვილიშვილები-ბები-ბაბუები. თუმცა, როგორც ერთ-ერთმა უფროსმა რესპოდენტმა აღნიშნა „შუა თაობა“ „არის ხიდი შვილიშვილებსა და ჩემს შორის“, რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ ოჯახში მშობლებს გარკვეულწილად თაობებს შორის დამაკავშირებელი რგოლის ფუნქცია აკისრიათ. სერიოზული საკითხების განხილვისას თუ გადაწყვეტისას ისინი იღებენ ფასილიტატორის როლს, თუმცა აღნიშნულ წყვილთა ურთიერთობას თავისუფალი დროის კატარების ფუნქცია უფრო აქვს, რაც მოიცავს საერთო აქტივობებს, როგორცაა ნარდის თამაში, ტელევიზორის ერთად ყურება, გარკვეული თემების განხილვა თუ პაზლის აწყობა. როგორც გამოიკვეთა კვლევისას, ასეთი აქტივობები აყალიბებს საერთო ინტერესებს და უფრო აახლოვებს ოჯახის წევრებს, რაც შემდეგ აისახება ოჯახის ჰარმონიაზე. შესაძლებელია ასეთი ფორმის ინტერაქცია ინვევდეს ნაკლებ კონფლიქტს და წარმოქმნიდეს მეტ ურთიერთგაგებას - „ეს თამაშიც გვემარება საერთო ინტერესების ჩამოყალიბებაში და უფრო ვახლოვდებით“. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული თამაშის ფენომენი მხოლოდ ერთ ოჯახთან გვხვდება, სხვა დანარჩენ ოჯახებში საერთო აქტივობებს უფრო მიაწერენ ერთად საუბარს, ფილმის ყურებას ან თუნდაც აივანზე მუსიკის მოსმენას. ერთმანეთთან საუბარი ინტერესებიდან გამომდინარე ხდება, მაგალითად შვილიშვილები, ბები-ბაბუები ნაკლებად ლაპარაკობენ პოლიტიკაზე, მაშინ როცა მშობლები, ბაბუა-ბებიები შეიძლება უფრო ჩართულები იყვნენ ამ თემაზე ლაპარაკში. გამოჩნდა, რომ ასეთი ვერბალური ინტერაქციები უმეტესწილად ინფორმაციის გაცვლაზეა ორიენტირებული. სამივე შემთხვევაში უმცროსი თაობა აღნიშნავდა, რომ ნაკლებად ერთვებოდა ისეთ საუბრებში, რაც არ აინტერესებდათ ან არ იყო მათთვის ნაცნობი, ამიტომ თუ იმართებოდა დისკუსია, ისინი თავს არიდებდნენ ჩართვას. შეკითხვაზე „ოჯახის რომელ წევრთან ნახულობ ყველაზე მეტად საერთო ენას?“ სამივე უმცროსი თაობის რესპოდენტი ასახელებდა უმცროს ან უფროს დას/ძმას, რადგან მათი თქმით ისინი უფრო გაუგებდნენ და დაელაპარაკებოდნენ „ყველანაირ თემაზე“. აქედან გამომდინარე ასაკისა და თანატოლობის განსხვავებულობა ოჯახის წევრებს შორის ინვევს ნაკლებ ინტერაქციას.

თუმცა აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ, მიუხედავად უფრო დიდი ასაკობრივი განსხვავებისა, შვილიშვილებსა და ბაბუა-ბებიებს შორის კონფლიქტი და დაძაბულობა ნაკლებია, ვიდრე მშობლებსა და ბაბუა-ბებიებს თუ შვილებსა და მშობლებს შორის. დროის შუალედად, რომელიც თითოეულ ბუნებრივ თაობას აშორებს შემდგომი თაობისგან, მიჩნეულია დაახლოებით 30 წელი, ე. ი. პერიოდი - გარკვეული ასაკობრივი ერთობლიობის დაბადებასა და მათი შვილების დაბადებას შორის (გელაშვილი, 2019). ხოლო ძველი და ახალი თაობის წარმომადგენლები, გამომდინარე იმ სისტემიდან, რომლითაც ისინი აღიზარდნენ, ირგებენ გარკვეულ სოციალურ როლებს. შესაბამისად,

პროპორციულად შვილიშვილებსა და ბებია-ბაბუებს შორის ორმაგად მეტი დაპირისპირება თუ აზრთა სხვადასხვაობა უნდა იყოს, ვიდრე შვილებსა და მშობლებს შორის, მაგრამ როგორც კვლევამ აჩვენა დაძაბულობა უფრო მეტია როცა საქმე შვილები-მშობლების წყვილს ეხება. როგორც დადგინდა ასაკობრივი ზღვარი პრობლემას არ ქმნის, თუმცა უმცროსების მხრიდან არის თანამედროვე დამოკიდებულებების გაზიარების და უფროსების აზრის შეცვლის ტენდენცია. გამოიკვეთა ისეთი ფრაზები, როგორცაა „ვცდილობ დავარწმუნო“, „ბევრჯერ მიცდია დალაპარაკება“, „მივახვედრე უკვე“, რითაც კარგად ჩანს ახალი თაობის მოტივაცია, თუმცა ამას მალევე მოსდევს „ვიცი, რომ მათ არაფერი შეცვლის“. მაშასადამე, ის მისწრაფება, რაც ახალგაზრდებს აქვთ (ცოტათი მაინც შეცვალონ უფროსების შეხედულებები) ნელ-ნელა გადადის კონფლიქტის არიდების სტრატეგიებში, რაც ახასიათებს ორივე მხარეს. ძველი და ახალი თაობა დათმობაზე გადადის და ცდილობს ნეიტრალურად მოაგვაროს ის დაძაბულობა, რაც წარმოიქმნება გარკვეული სიტუაციების დროს: „არ მინდა რაიმე დაემართოს“, „ჩხუბი მეზარება“, „მე არ ვერევი არაფერში, არ მომწონს დაპირისპირება“. სწორედ ასეთი დამოკიდებულებების გამო არ იზრდება დაძაბულობა ოჯახურ კონფლიქტებში და არ იღებს სერიოზულ სახეს. როდესაც მხარეები რიგრიგობით ცოტ-ცოტას თმობენ, ეს უმეტეს შემთხვევაში კონფლიქტების ტრადიციული კომპრომისული გადაწყვეტაა (ტეილორი, პიპლოუ, & სირსი, 2005). როგორც უმცროსები, ასევე უფროსებიც ცდილობენ გაუზიარონ ერთმანეთს თავიანთი შეხედულებები და ფასეულობები, როგორცაა, მაგალითად სუფრის ტრადიცია ან უფროსის პატივისცემა. გაზიარების პარალელურად გვხვდება შენთხვევები, როდესაც უფროსები არ ერევიან ახალგაზრდების ყოველდღიურ ცხოვრებაში, განზე დგებიან, და თავისი პოზიციის ასახსნელად იყენებენ ფრაზებს - „ახალგაზრდები თავის ჭიას ახარებენ“ და „ისინი მეტად განვითარებულები და თავისებურები არიან“.

ყურადღასაღებია, რომ აღნიშნული დაძაბულობა და უთანხმოების მიზეზები არ არის არსობრივი და ძირითადად შეფასებით მსჯელობას ეხება. ისეთი თემები, როგორცაა ქსენოფობია, ჰომოფობია, გენდერული თანასწორობა ყველაზე ხშირად იწვევს აზრთა სხვადასხვაობას თაობებს შორის, რაც ალბათ ისევ განსხვავებულ ღირებულებებს, აღზრდასა და განათლებას უკავშირდება. ხშირად ეს იწვევს ნაკლებ ინტერაქციას ოჯახის წევრებთან, რაც უფრო მეტად უმცროს თაობასთან გამოიკვეთა. კონფლიქტის არიდების მიზნით ახალგაზრდები მიმართავენ ისეთ სტრატეგიებს, როგორცაა ხუმრობა, ცინიზმი, იგნორირება და იშვიათ შემთხვევებში დამორჩილება. ასეთი ტაქტიკები სამივე შემთხვევაში ვლინდება, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ახალგაზრდები უფროსების მოსაზრებებს შეიძლება ან არასერიოზულად აღიქვამენ, არ რელევანტურად, მაგრამ უსარგებლოდ.

გარდა ამისა, როგორც აღინიშნა ლიტერატურის მიმოხილვაში (Furlong & Cartmel, 2006). , ახალგაზრდები დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ თავისუფალი დროის გატარებას, საკუთარ თავთან განმარტოვებას, მუსიკის მოსმენას ან რაიმეს ყურებას თავიანთ ოთახებში, რაც ზოგ შემთხვევაში ერთგვარი თავის არიდების საშუალებაა თუნდაც იმ ოჯახური დისკუსიებისგან, რაც შეიძლება სამზარეულოში ან მისაღებ ოთახში მიმდინარეობდეს. უმცროსები ხშირად ატარებენ დროს განცალკევებულად, რაც უკავშირდება იმას, რომ მათ აქვთ ინტერნეტთან წვდომა და მობილური ტელეფონები, რამაც თავისუფალი დრო აქცია უფრო პირად, დამოუკიდებელ აქტივობად, ვიდრე

ერთმანეთთან ურთიერთობის საშუალებად. თუმცა როგორც ერთ-ერთმა რესპონდენტმა აღნიშნა, ასეთი განრიდების შემთხვევები მხოლოდ მაშინ ხდება „როდესაც გვანი დალლილი მოვდივარ სახლში და ფიზიკურად არ შემოძლია სხვა არაფერი“. ასევე დიდი მნიშვნელობა აქვს ახალგაზრდებისთვის მეგობრებთან ერთად თავისუფალი დროის ტარებას, რაც მათთვის ერთგვარი განტვირთვაა და სახლიდან გასვლის კიდევ ერთი საბაბი. „მეგობრებთან ერთად როცა გავდივარ, სახლში რაზეც მომეშალა ნერვები რამოდენიმე საათში გადამივლის და მაგინწყდება“.

კიდევ ერთი რამ, რაც გამოიკვეთა კვლევის შედეგად არის ძველი თაობის პროტექციონისტული დამოკიდებულება, რაც გულისხმობს უფროსების დარიგებებს, შეზღუდვებს თუ წესებს, რომლებიც უნდა გაითვალისწინონ ახალგაზრდებმა. სავარაუდოა, რომ ეს გამოიწვია იმ სოციო-ეკონომიკურმა მდგომარეობამ, რომელშიც აღიზარდნენ უფროსები, რასაც ამონშებს კიდევაც ერთ-ერთი რესპონდენტი მარინა: „სხვანაირი სოციალური მდგომარეობა გვექონდა... ახლა უკეთესია“. ასეთი დამოკიდებულების მიზეზები საკმაოდ მარტივია: „მინდა უკეთესად იცხოვრო და არ გაიმეორო ჩემი შეცდომები“, „მინდა აგარიდო ხიფათს“, „მინდა ჩემს პრობლემებზე ისწავლო და უფრო ჭკვიანი იყო“. შესაბამისად ამას მოჰყვება გარკვეული შეზღუდვები, როგორცაა ცხრა საათის შემდეგ სახლში დარჩენა, გარეთ არ გასვლა, მკაცრი გარემოს შექმნა, ხშირ შემთხვევაში გვხვდებოდა ახალგაზრდების გარეგნობითა და ჩაცმულობით უკმაყოფილება, რაც „პატიოსანი ოჯახის შვილობას“ უკვაშირდება. ამას მოჰყვება უმცროსი თაობის საპასუხო რეაქციები, რაც მნიშვნელოვნად მოქმედებს მათ ემოციურ ფონზე. ასეთ დროს ისინი არასრულფასოვან ადამიანებად გრძნობენ თავს და უფროსებთან შედარებით მცირე ასაკის გამო არასერიოზულად აღიქმებიან. აქ უკვე საქმე გვაქვს მოზარდების განვითარებასთან, დამოუკიდებლობის მოპოვებასთან, გამოცდილების მიღებასთან, რასაც მათ თვალში, ბუნებრივია, ხელს უშლის უფროსების პროტექციონისტული დამოკიდებულება. ასეთი ტიპის დაძაბულობა, შესაძლებელია დაუუკავშიროთ ურთიერთობასთან დაკავშირებულ კონფლიქტებს, რაც ხშირად თავს იჩენს იმ ადამიანებს შორის, ვისაც ახლო ურთიერთობა აქვთ ერთმანეთთან. ასეთ შემთხვევაში კონფლიქტს ამწვავებს ძლიერი ემოციური ფონი, მხარეებს უჩნდებათ განცდა, რომ არ აფასებენ, არ უკვებენ და უყურადღებოდ ტოვებენ მათ. სწორედ ეს უკანასკნელი იკვეთება ახალგაზრდების რეაქციებში პროტექციონისტულ დამოკიდებულებაზე, რაც კარგად ჩანს მათ სიტყვებში: „უფროსებმა უნდა ისწავლონ უმცროსების მოსმენა“, „არასერიოზულად მიღებენ“, „არ აინტერესებთ შენი აზრი და ეს არაჩამოყალიბებულ ადამიანად გაგრძნობინებს თავს“. შეიძლება ითქვას, რომ უფროსებისთვის უმცროსების აზრი თუ პოზიცია ნაკლებად რელევანტურია. როგორც კვლევიდან იკვეთება, გაფართოებულ ოჯახებში ასაკი წყვეტს აზრის მართებულებას.

ამასთანავე, აღსანიშნავია ის, რომ გამოიკვეთა გენდერული ასიმეტრია, როგორც ზემოთ ხსენებულ შემზღუდვებში ასევე ოჯახის სტრუქტურულ მახასიათებელშიც. პირველ რიგში, სამი ახალგაზრდა რესპონდენტიდან ორი მდედრობითი სქესის წარმომადგენელი იყო და ორივე შემთხვევაში გამოჩნდა, რომ გოგონებს მეტად მკაცრ გარემოს უქმნიდნენ (უმეტესწილად მშობლები) და უფრო მეტ შეზღუდვებს უწესებდნენ, ვიდრე მათ უფროს ძმებს. ეს ბუნებრივია იწვევდა პროტესტის გრძნობას, თუმცა საპასუხო რეაქციის ორი სრულიად განსხვავებული პატერნი განისაზღვრა. ერთის შემთხვევაში მსგავს შეზღუდვებს მოჰყვა ურჩი ქცევა, რაც გულისხმობს სახლიდან წასვლას,

ალკოჰოლისა და ნარკოტიკული საშუალებების მიღებას, გარეგნობის რადიკალურად შეცვლას და სხვა; ხოლო, მეორეს შემთხვევაში საპასუხოდ მოჰყვა დამორჩილება. მიუხედავად იმისა, რომ იგი მაინც გამოხატავდა თავის უკმაყოფილებას, ვერცხვოდა უფროსების „გულისტკივილს“, რაც კიდევ ერთხელ მიუთითებს დათმობაზე და კონფლიქტის არიდების სტრატეგიებზე. მესამე მამრობითი სქესის წარმომადგენელ რესპონდენტთან მსგავსი სიტუაცია არ ყოფილა.

მეორეს მხრივ, გენდერული ასიმეტრია გამოიკვეთა ოჯახის სტრუქტურის ჭრილში, რაშიც იგულისხმება „მამაკაცებს მეტი ეთქმის ოჯახში“. სერიოზული საკითხების განხილვისას, გადანაცვებისას, როგორცაა მაგალითად ახალი ბინის შეძენა, მამაკაცი წევრების აზრი მეტ ფასს ატარებს. „როცა მამაკაცები არიან ოჯახში და ჭკუა მოეკითხებათ, ჯერ ისინი ილაპარაკებენ, მერე ჩვენ გავვიზიარებენ“- ამბობს ერთ-ერთი უფროსი ქალბატონი რესპონდენტი. თუმცა სავარაუდოა, რომ ეს კვლავ იმ ღირებულებებსა და ტრადიციებს უკავშირდება, რომელშიც აღიზარდა ძველი თაობა და შედეგად, დროისა და ტექნოლოგიების ცვლილებამ, გამოიწვია ახალი თაობის შეხედულებების, ფასეულობების სხვა კუთხით წაყვანა, რაც საკმაოდ ბუნებრივია.

შეიცვალა ტრადიციები, დამოკიდებულებები და შედეგად კოლექტივისტური საზოგადოებიდან მოხდა ინდივიდუალისტურ საზოგადოების ფორმატში გადასვლა. ჰოფსტედეს (G. Hofstede) მიხედვით ინდივიდუალისტური ორიენტაცია გულისხმობს იმ რწმენას, რომ თითოეულ ადამიანს თავისთავადი ღირებულება აქვს, უნდა იღვანოს პირადი პოტენციალის რეალიზაციისათვის, სოციალური წნეხის მიუხედავად, ცდილობს თავისი დამოუკიდებელი მოსაზრებების კულტივირებას; კოლექტივისტური ორიენტაცია-პირიქით, ასახავს კოლექტიურის პრიორიტეტს ინდივიდუალურთან შედარებით (სურმანიძე, 2001) შესაბამისად გამოიკვეთა დროისა და ცვლილებების ასპექტი, რაშიც შედის ტექნოლოგიების განვითარება, რაც ახალ თაობას დიჯიტალიზირებულ თაობად აქცევს, ვირტუალურ სივრცეში მოაქცევს, რაც უცხოა ძველი თაობისთვის. შეიძლება ამიტომაცაა, რომ ხშირად უფროსები ახალგაზრდებს მოიხსენიებენ, როგორც „ახლანდლებს“. მიუხედავად იმისა, რომ გამოიკვეთა „ჩვენ დროს სხვაგვარად იყო“ ტენდენცია ძველ თაობაში და გარკვეულ საკითხებზე უკმაყოფილება, როგორცაა უფროსების პატივისცემა, ეს მხოლოდ აზრთა სხვადასხვაობით შემოიფარგლება და არ იწვევს დისონანსს თაობებს შორის. როგორც კვლევამ აჩვენა, ახალგაზრდებიც და უფროსებიც ერთმანეთს უზიარებენ თავიანთი თაობების ფასეულობებს თუ ღირებულებებს, რაც გამოიხატება ძველი ისტორიების გახსენებაში, ახალი ტრენდებისა თუ ტენდენციების ახსნასა და გაზიარებაში. „მე მაგალითად ვინცებ ლაპარაკს, როგორ ვიზრდებოდი ჩემი თაობა, რას ვაკეთებდით ხოდა მერე ვადარებთ ახლანდელ თაობას“- აღნიშნავს ერთ-ერთი უფროსი რესპონდენტი თავის შვილიშვილთან საერთო დროის გატარების შესახებ.

აქედან გამომდინარე, მიუხედავად გარკვეული დაძაბულობისა და უთანხმოებებისა, თაობებს შორის აზრთა სხვადასხვაობები მცირე ზეგავლენას ახდენს ოჯახის ჰარმონიაზე. ჩატარებული კვლევის შედეგად დადგინდა, რომ გაფართოებულ ოჯახებში გადაუჭრელი კონფლიქტები არ გვხვდება. სწორედ ამიტომ აგრძელებენ ისინი გაფართოებული ოჯახის ფორმით ცხოვრებას.

დასკვნა

ტრადიციები და ღირებულებები განაპირობებენ ადამიანთა ქცევას, როგორც საზოგადოებაში ასევე ოჯახშიც. სხვადასხვა თაობის წარმომადგენლების ერთ ოჯახში და სივრცეში ჰარმონიული თანაცხოვრებისთვის საჭიროა ღირებულებების პატივისცემა და საერთო ინტერესების გამონახვა და კომპრომისებზე წასვლა.

თანამედროვე პერიოდში საკმაოდ გავრცელებული ხდება ნუკლეარული ოჯახის ფორმა, რაც ახლო წარსულთან შედარებით, მეტად მიღწევადია. ახალგაზრდებს სულ უფრო ნაკლებად სურთ ტრადიციული ოჯახების შექმნა, რადგან მათ მეტი შესაძლებლობა და მეტი თავისუფლება აქვთ. მათ არ სურთ ისეთ რეალობაში ცხოვრება, რომელშიც მათი მშობლები ან ბებია-ბაბუები ცხოვრობდნენ, ამიტომ უფრო მიდრეკილები არიან ცვლილებებისკენ და ტოლერანტულად უდგებიან ისეთ საკითხებს, როგორცაა გენდერული თანასწორობა, სექსუალურ უმცირესობათა უფლებები და ა.შ (რომლებიც უფროსი თაობების დროს ტაბუდადებული საკითხები იყო და შესაბამისად ფობიური დამოკიდებულება წარმოიქმნა). თუმცა აღსანიშნავია ისიც, რომ კვლევის შედეგად არ გამოიკვეთა ჰიტისა და კლივერის (Heath & Cleaver, 2003) მიერ ნახსენები ახალგაზრდა თაობის ჰედონისტური და ეგოისტური ხასიათი, ან ის, რომ მხოლოდ საკუთარ თავზე ფიქრობს და ყველანაირი პასუხისმგებლობის და ვალდებულების თავიდან აცილებას ცდილობს. ის ფაქტი, რომ ისინი დათმობაზე მიდიან და ითვალისწინებენ უფროსების “გულისტკენას“ ან თუნდაც ემორჩილებიან ხოლმე მიღებულ შენიშვნებს, ამას ამტკიცებს.

ძველი და ახალი თაობის წარმომადგენლები ირგებენ სხვადასხვა სოციალურ როლებს, რომელთა მიხედვითაც განისაზღვრება მათი შემდგომი ქცევები. ეს უკავშირდება მოლოდინთა იმ სისტემას, რაც თითოეულ მათგანს გამოუმუშავდათ აღზრდითა და ეროვნული ტრადიციების ზეგავლენით. მაგალითად, როგორცაა „ოჯახის უფროსობის“ როლი ან თუნდაც „შუა თაობა“, რომელიც გარკვეული ხიდის ფუნქციის, როლის მატარებელია შვილისშვილებსა და ბებია-ბაბუებს შორის.

მიუხედავად იმისა, რომ კონფლიქტის გაღვივებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობენ საპირისპირო ინტერესები და შეხედულებები, გაფართოებულ ოჯახებში ხშირ შემთხვევაში ეს ინვეს ნაკლებ ინტერაქციას მათ შორის. თუმცა ასეთი დიფერენციაცია არ გამოიხატება სრული გაუცხოებით.

კვლევის ანალიზისას ასევე დადგინდა, რომ გაფართოებულ ოჯახებს არ ახასიათებთ მწვავე კონფლიქტები. გამოიკვეთა მხოლოდ ურთიერთობასთან დაკავშირებული კონფლიქტის სახე თაობებს შორის, რაც გამომდინარეობს ახალგაზრდების ინდივიდუალისტური, ხოლო უფროსი თაობის კოლექტივისტური ორიენტაციიდან. უფროსი თაობის ადამიანებისთვის ოჯახური შეჭიდულობა, ტრადიციებისადმი ერთგულება და შვილების ისე გაზრდა, რომ დამჯერი იყოს, უფრო ღირებულია, მაშინ როდესაც

ახალგაზრდა თაობისთვის ადამიანის დამოუკიდებლობა და მიზანმიმართულობა მეტად პრიორიტეტულია (სუმბაძე, 2012). რაც შეეხება უთანხმოებებს, რომლებიც გარკვეულ დაძაბულობას ქმნიან, ისინი არ ეხებიან საკვანძო საკითხებს და უფრო მეტად ყოველდღიურობას ასახავენ.

ასევე, გამოიკვეთა გენდერული ასიმეტრიის ასპექტი, რომელიც გარკვეული სახით წარმოაჩინდა უფრო მეტ სიმკაცრეს და მოთხოვნას მდებარეობითი სქესის შვილიშვილებისადმი ვიდრე მამრობითი, რაც ერთგვარ პროტესტის გრძობას იწვევდა გოგონებში და დაკავშირებული იყო „პატროსანი ოჯახის შვილობასთან“. მეორეს მხრივ, ეს გამოიხატებოდა ოჯახის იერარქიულ სტრუქტურაში, რაც გულისხმობს პატრიარქალურ წყობას და მამაკაცის უპირატესობას ოჯახში, როგორც კანონის დამწესებლისა და გადამწყვეტილების მიმღების.

აქედან გამომდინარე, ჩატარებული კვლევის შედეგად დადგინდა, რომ გაფართოებულ ოჯახებში არ იკვეთება მოუგვარებელი კონფლიქტები და ყოველივე ზემოთ აღნიშნული შემოიფარგლება ყოველდღიურობითა და პერიოდული კამათით, უთანხმოებით, რაც განაპირობებს გაფართოებული ოჯახის განგრძობად არსებობას.

ბიბლიოგრაფია

ბერძენიშვილი, ა. (2013). *კლასიკური სოციოლოგიური თეორიები*. თბილისი.

- გელაშვილი, თ. (2019). *X და Y თაობების კონფლიქტი*. თბილისი: აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი.
- სუმბაძე, ნ. (2012). *თაობები და ღირებულებები*. თბილისი: საზოგადოებრივი პოლიტიკის ინსტიტუტი.
- სურმანიძე, ლ. (2001). *ინდივიდუალისტური და კოლექტივისტური საზოგადოებები*. თბილისი: "ნეკერი".
- ტეილორი, შ., პიპლოუ, ლ., & სირსი, დ. (2005). *სოციალური ფსიქოლოგია*.
- ხოშტარია, თ. (2019). *ახალგაზრდების ღირებულებები და მათი განსხვავება უფროსი თაობების ღირებულებებისგან საქართველოში*. თბილისი: ივანე ჯავახიშვილის სახელობის
- Dimock, M. (2019, January 17). *Defining generations: Where Millennials end and Generation Z begins*. Retrieved from [pewresearch.org: https://www.pewresearch.org/fact-tank/2019/01/17/where-millennials-end-and-generation-z-begins/](https://www.pewresearch.org/fact-tank/2019/01/17/where-millennials-end-and-generation-z-begins/)
- Furlong, A., & Cartmel, F. (2006). *Young people and social change: New perspectives*. Berkshire, England: McGraw-Hill Education.
- Giddens, A. (1997). *Sociology*. polity press.
- Goffman, E. (1969). *The Presentation of Self in Everyday Life*.
- Heath, S., & Cleaver, E. (2003). *Young, Free and Single? Twenty-Somethings and Household*. Basingstoke, England: palgrave macmillan.
- Hofstede, G. (2011). Dimensionalizing cultures: The Hofstede model in context. *Online readings in psychology and culture*.
- Inglehart, R. (1997). *Modernization and Postmodernization: Cultural, economic and political change in 42 societies*. princeton university.

Mannheim, K. (republished 1952). The problem of generations.

Roberts, K., & Fagan, C. (1999). *Young people and their leisure in former communist countries: four theses examined. Leisure Studies.*

Straus, W. a. (1991, April). The Cycle of Generations. *American Demographics*, 24-33 and 52.

Walker, C., & Stephenson, S. (2010). Youth and social change in Eastern Europe and the former Soviet Union. *Journal of youth studies*, 521-532.

ბერძენიშვილი, ა. (2013). *კლასიკური სოციოლოგიური თეორიები*. თბილისი.

გელაშვილი, თ. (2019). *X და Y თაობების კონფლიქტი*. თბილისი: აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი.

სუმბაძე, ნ. (2012). *თაობები და ღირებულებები*. თბილისი: საზოგადოებრივი პოლიტიკის ინსტიტუტი.

სურმანიძე, ლ. (2001). *ინდივიდუალისტური და კოლექტივისტური საზოგადოებები*. თბილისი: "ნეკერი".

ტეილორი, შ., პიპლოუ, ლ., & სირსი, დ. (2005). *სოციალური ფსიქოლოგია*.

ხოშტარია, თ. (2019). *ახალგაზრდების ღირებულებები და მათი განსხვავება უფროსი თაობების ღირებულებებისგან საქართველოში*. თბილისი: ივანე ჯავახიშვილის სახელობის.